



გაეროს შებლუდული
შესაძლებლობის მქონე
პირთა უფლებების კომიტეტი

მუხლი 6 - შებლუდული შესაძლებლობის მქონე
ქალები და გოგონები

ზოგადი კომენტარი No. 3 (2016)

შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი
ადვოკატირების პროექტი

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის





**გაეროს შებლუდური შესაძლებლობის მქონე პირთა
უფლებების კომიტეტი**

**მუხრი 6 – შებლუდური შესაძლებლობის მქონე ქალები და
გოგონები**

ზოგადი კომენტარი No. 3 (2016)

**შებლუდური შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი ადვოკატირების
პროექტი**

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის

2016 წერი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის მე-6 მუხრის ზოგადი კომენტარის თარგმნა, ბეჭდვა და გავრცელება შესაძლებელი გახდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი ადვოკატირების პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

მოცემულ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოსაზრებებს.



**შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე პირთა უფლებების
კონვენცია**

გავრცელება: საყოველთაო
2016 წლის 2 სექტემბერი

ორიგინალი შედგენილია
ინგლისურ ენაზე

წინასწარი შეუსწორებელი
ვერსია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

ზოგადი კომენტარი No. 3 (2016)

**მუხლი 6: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები
და გოგონები**

1. წინამდებარე ზოგადი კომენტარის პროექტი მომზადებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მიერ, კომიტეტის რეგლამენტის 47-ე წესის შესაბამისად, რომელშიც აღნიშნულია, რომ კომიტეტს გააჩნია ზოგადი კომენტარის მომზადების უფლებამოსილება, კონვენციის სხვადასხვა მუხლებისა და დებულებების საფუძველზე, რათა სახელმწიფო მხარეებს დაეხმაროს ანგარიშგებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, და აგრეთვე, კომიტეტის სამუშაო მეთოდების 54-57 პუნქტების შესაბამისად.

2. არსებობს მყარი მტკიცებულება იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები ცხოვრების უმეტეს სფეროში აწყდებიან ბარიერებს. ბარიერები ქმნიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ დისკრიმინაციის მრავალგვარ და ინტერსექციურ ფორმებს, განსაკუთრებით განათლებაზე და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე თანასწორი ხელმისაწვდომობის, სოციალურ ურთიერთობებსა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობისა და კანონის წინაშე თანასწორი აღიარების კუთხით¹, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობის მხრივ, სხვადასხვა კონტექსტში საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელების მხრივ - მაგ., ჯანდაცვის, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით და იმ მხრივ, თუ სად და ვისთან ერთად სურთ ცხოვრება.

¹ WHO and World Bank (2011). World Report on Disability, WHO Press, Geneva, p: 60;



I. შესავალი

3. საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობები და პოლიტიკა შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ, ისტორიულად, უგულებელყოფდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებთან და გოგონებთან დაკავშირებულ ასპექტებს, ხოლო ქალების შესახებ არსებული კანონმდებლობები და პოლიტიკა ტრადიციულად უგულებელყოფდა შეზღუდულ შესაძლებლობას. აღნიშნულმა უგულებელყოფამ ხელი შეუწყო ისეთ სიტუაციას, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები ექვემდებარებიან დისკრიმინაციის მრავალგვარ და ინტერსექციურ ფორმებს.²

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებზე ხორციელდება დისკრიმინაცია მათი გენდერის და/ან შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ან სხვა რაიმე შესაძლო საფუძვლის გამო.

4. წინამდებარე ზოგად კომენტარში გამოყენებული ტერმინები:

a. “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები” გულისხმობს ყველა ზრდასრულ ქალს, გოგონასა და მოზარდს.

b. სქესი და გენდერი: სქესი გულისხმობს ბიოლოგიურ განსხვავებებს, ხოლო გენდერი გულისხმობს იმ მახასიათებელ ნიშან-თვისებებს, რომელსაც საზოგადოება ან კულტურა აღიქვამს მდებრობითად ან მამრობითად.

c. მრავალგვარი დისკრიმინაცია გულისხმობს სიტუაციას, სადაც პირი განიცდის დისკრიმინაციას ორი ან მეტი საფუძველის გამო, იმ გაგებით, რომ დისკრიმინაცია არის კომბინირებული ან დამძიმებული.³ ინტერსექციური დისკრიმინაცია გულისხმობს სიტუაციას, სადაც დისკრიმინაციის სხვადასხვა საფუძველი ერთდროულად მოქმედებს ან ურთიერთქმედებას ახდენს, იმგვარად, რომ აღნიშნული საფუძველები ერთმანეთისაგან განუყოფელი ხდება.⁴ დისკრიმინაციის საფუძვლების მაგალითებია: ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა, ეთნიკური, მკვიდრი (ადგილობრივი), ეროვნული ან სოციალური წარმომავლობა, გენდერული იდენტობა, პოლიტიკური ან სხვა იდეური კუთვნილება, რასა, ლტოლვილის, მიგრანტის ან თავშესაფრის მაძიებლის სტატუსი, რელიგია, სქესი და სექსუალური ორიენტაცია.

² იხ. <http://www.un.org/womenwatch/enable/>

³ CEDAW ზოგადი რეკომენდაცია No. 25, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღკვეთის შესახებ კონვენციის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის შესახებ, დროებითი სპეციალური ღონისძიებები, პუნქტი 12

⁴ CEDAW/C/2010/47/GC.2, პუნქტი 18.

5. შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალები არ არიან ჰომოგენური ჯგუფი. ისინი მოიცავენ: მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელ ქალებს, ლტოლვილებს, მიგრანტებს, თავშესაფრის მაძიებლებსა და იძულებით გადაადგილებულ ქალებს; სპეციალურ დაწესებულებებში განთავსებულ ქალებს (საავადმყოფოებში, ინსტიტუციებში, არასწრულწლოვანთა ან გამოსასწორებელ დაწესებულებებსა და ციხეებში); სიღარიბეში მცხოვრებ ქალებს; სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური და რასობრივი წარმომავლობის მქონე ქალებს; მრავალგვარი შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს, რომლებიც მაღალი დონის მხარდაჭერას საჭიროებენ; ალბინოს ქალებს; ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერ ქალებსა და ინტერსექს ადამიანებს. შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მრავალფეროვნება აგრეთვე აერთიანებს ჯანმრთელობის სხვადასხვა დარღვევებს, რაც აღიქმება, როგორც ფიზიკური, ფსიქო-სოციალური, ინტელექტუალური ან სენსორული მდგომარეობა, რომელსაც შესაძლოა თან ახლდეს ან არ ახლდეს ფუნქციონალური შეზღუდვები. შებლუდული შესაძლებლობა გულისხმობს პიროვნების ჯანმრთელობის დარღვევასა და სოციალურ და მატერიალურ გარემოს შორის ურთიერთქმედების სოციალურ შედეგებს, როგორც ეს კონვენციის პირველ მუხლში არის აღნიშნული.

6. კანონმდებლობასა და პოლიტიკაში თანდათანობითი ცვლილებები ხორციელდება 1980-იანი წლებიდან; გაიზარდა შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალების აღიარება. ბავშვის უფლებათა კონვენციისა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) ფარგლებში განვითარებულ პრევენციული სამართალში ხაზგასმით არის აღნიშნული შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალებთან და გოგონებთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები, რომელთა მოგვარებაც აუცილებელია და ასევე შესასრულებელი რეკომენდაციები. პოლიტიკის დონეზე, გაეროს სხვადასხვა ორგანოებმა დაიწყეს იმ პრობლემებზე მუშაობა, რომელთაც შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალები აწყდებიან, ხოლო აღნიშნული პრობლემები ასახულია არაერთ რეგიონულ სტრატეგიაში შებლუდული შესაძლებლობის ინკლუზიური განვითარების შესახებ.

7. კონვენციის მე-6 მუხლი რეაგირებს შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების უფლებების აღიარების ნაკლებობაზე. შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალებმა და გოგონებმა ძალისხმევა არ დაიშურეს ხელშეკრულების ტექსტში აღნიშნული მუხლის ასახვისთვის. მე-6 მუხლი ამყარებს კონვენციის მიდგომას დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით

კონკრეტულად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებსა და გოგონებთან მიმართებაში და სახელმწიფო მხარეებისაგან მოითხოვს, არა მხოლოდ დისკრიმინაციული ქმედებებისაგან თავის შეკავებას, არამედ, ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების განვითარების, წინსვლისა და დამოუკიდებლობისაკენ არის მიმართული და ხელს უწყობს მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ზომებს. კერძოდ, კონვენცია აღნიშნული კატეგორიის პირებს გამოკვეთილად აღიარებს, როგორც უფლებების მქონეს, უზრუნველყოფს მათი ხმისა და აგენტობისათვის საჭირო არხებს, ზრდის მათ თავდაჯერებულობასა და ყველა იმ სფეროში გადანაცვეტილების მიღებისათვის საჭირო ძალაუფლებასა და უფლებამოსილებას, რომელიც მათ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას. მე-6 მუხლი არის კონვენციის ფარგლებში მონაწილე სახელმწიფოებზე დაკისრებული იმ ვალდებულებების ინტერპრეტაციის ინსტრუმენტი, რომელიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების უფლებების ხელშეწყობას, დაცვასა და განხორციელებას, როგორც ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის, ისე განვითარების თვალსაზრისით.

8. გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებებისათვის უმნიშვნელოვანესია. თანასწორობა ადამიანის უფლებების ფუნდამენტური პრინციპია, რომელიც თავისი ბუნებით არის შედარებითი და კონტექსტური. ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფა ქალთა მიმართ, პირველ რიგში, საჭიროებს იმ სოციალური სტრუქტურებისა და ძალთა ურთიერთქმედების სრულფასოვან აღქმას, რომელიც განსაზღვრავს არსებულ კანონმდებლობებსა და პოლიტიკას, აგრეთვე, ეკონომიკას, სოციალურ დინამიკას, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებასა და კულტურულ წარმოდგენებს. გენდერულ სტერეოტიპებს, ასევე, შეუძლია შეზღუდოს ქალთა შესაძლებლობა, განავითარონ საკუთარი პიროვნული შესაძლებლობები, მისდიონ პროფესიულ კარიერასა და გააკეთონ არჩევანი თავიანთ ცხოვრებასა და ცხოვრებისეულ გეგმებთან დაკავშირებით. ზიანის მოტანა შეუძლია როგორც ნეგატიურ, ისე ერთი შეხედვით უწყინარ სტერეოტიპებს. არსებობს აღიარებული საჭიროება იმისა, რომ მოხდეს მავნე გენდერული სტერეოტიპების აღკვეთა, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით.⁵ კონვენცია თანაბრად ითვალისწინებს სტერეოტიპებთან, ცრურწმენებთან და მავნე პრაქტიკასთან ბრძოლის ვალდებულებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით, მათ შორის სქესზე და ასაკზე დაფუძნებულთან, ცხოვრების ყველა სფეროში.⁶

⁵ CEDAW art. 5

⁶ CRPD art. 8

9. მე-6 მუხლი სავალდებულოდ შესასრულებელი დებულებაა დისკრიმინაციის აკრძალვის და თანასწორობის უზრუნველყოფის თაობაზე. იგი ერთმნიშვნელოვნად აკრძალავს დისკრიმინაციას შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინააღმდეგ და ხელს უწყობს შესაძლებლობებისა და შედეგების თანასწორობას. შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალებსა და გოგონებს დისკრიმინაციის საფრთხე მამაკაცებსა და ბიჭებს და დანარჩენ ქალებსა და გოგონებს მეტად ემუქრებათ,

10. კომიტეტი მიუთითებს 2013 წლის აპრილში გამართული მე-9 სესიის დროს შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების შესახებ ჩატარებულ ნახევარდღიან ზოგად დისკუსიაში მონაწილე მხარეების მიერ გამოხატულ მოსაზრებებზე. დისკუსიის დროს განხილულ იქნა თემების ფართო სპექტრი და გამოვლინდა სამი ძირითადი პრობლემური საკითხი ქალებისა და გოგონების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით: (1) ძალადობა, (2) სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები (3) დისკრიმინაცია. ამასთან, კომიტეტის მიერ შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალების შესახებ დღემდე გამოცემული დასკვნითი მოსაზრებები გამოხატავს შეშფოთებას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინააღმდეგ მრავალგვარი და ინტერსექციური დისკრიმინაციის გავრცელება⁷, მათი გენდერის, შებლუდული შესაძლებლობისა და სხვა ფაქტორების გამო⁸, რაც საკმარისად არ არის ასახული კანონმდებლობასა და პოლიტიკაში⁹; სიცოცხლის უფლება¹⁰, კანონის წინაშე თანასწორობა¹¹, შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ დამკვიდრებული ძალადობა¹², მათ შორის სექსუალური ძალადობა¹³ და ბოროტად მოპყრობა¹⁴, იძულებითი სტერილიზაცია¹⁵, ქალის სასქესო ორგანოს დასახიჩრება¹⁶, სექსუალური და ეკონომიკური ექსპლუატაცია¹⁷; ინსტიტუციონალიზაცია¹⁸, შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მონაწილეობის ნაკლებობა ან არასაკმარისი მონაწილეობა

⁷ მაგალითად, იხილეთ: CRPD/C/SLV/CO/1, პუნქტი 17; CRPD/C/UKR/CO/1, პუნქტი 9.

⁸ მაგალითად, იხილეთ: CRPD/C/AUT/CO/1, პუნქტი 17, CRPD/C/ECU/CO/1, პუნქტი 16.

⁹ მაგალითად, იხილეთ: CRPD/C/BRA/CO/1, პუნქტი 16; CRPD/C/EU/CO/1, პუნქტი 20

¹⁰ მაგალითად, იხილეთ: CRPD/C/MEX/CO/1, პუნქტი 34, CRPD/C/AZE/CO/1, პუნქტი 18.

¹¹ მაგალითად, იხილეთ: CRPD/C/ARG/CO/1, პუნქტი 31.

¹² მაგალითად, იხილეთ: CRPD/C/BEL/CO/1, პუნქტი 30.

¹³ მაგალითად, იხილეთ: CRPD/C/AUS/CO/1, პუნქტი 16, CRPD/C/CHN/CO/1, paras. 57, 65 and 90.

¹⁴ მაგალითად, იხილეთ: CRPD/C/SLV/CO/1, პუნქტი 37; CRPD/C/CZE/CO/1, პუნქტი 34

¹⁵ მაგალითად, იხილეთ: CRPD/C/MUS/CO/1, პუნქტი 29; CRPD/C/NZL/1, პუნქტი 37.

¹⁶ მაგალითად, იხილეთ: CRPD/C/GAB/CO/1, პუნქტი 40; CRPD/C/KEN/CO/1, პუნქტი 33.

¹⁷ მაგალითად, იხილეთ: CRPD/C/DOM/CO/1, პუნქტი 33. CRPD/C/PRY/CO/1, პუნქტი 16.

¹⁸ მაგალითად, იხილეთ: CRPD/C/HRV/CO/1, პუნქტი 23; CRPD/C/SLO/CO/1, პუნქტი 55.

გადანყვეტილების მიღების პროცესში¹⁹ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში²⁰; გენდერული ასპექტების არასაკმარისი გათვალისწინება შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ პოლიტიკაში²¹; გენდერულ პოლიტიკაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა უფლებების პერსპექტივის ნაკლებობა²²; და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობის არასაკმარისი კონკრეტული ღონისძიებები, ან ასეთი ღონისძიებების ნაკლებობა²³.

ნაწილი II: ნორმატიული შინაარსი

11. წინამდებარე ზოგადი კომენტარი ასახავს მე-6 მუხლის ინტერპრეტაციას კონვენციის იმ ზოგადი პრინციპების საფუძველზე, რომლებიც მე-3 მუხლში არის მოყვანილი. კერძოდ, თანდაყოლილი ღირსებისა და ინდივიდუალური ავტონომიის პატივისცემა, მათ შორის საკუთარი არჩევნის გაკეთების თავისუფლება, და პიროვნების დამოუკიდებლობა; დისკრიმინაციის აკრძალვა; საზოგადოებაში სრული და ეფექტური მონაწილეობა და ინკლუზია; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსხვავებულობის პატივისცემა და ადამიანებისა და კაცობრიობის მრავალფეროვნების გამოხატულების ნაწილად მათი აღიარება; შესაძლებლობათა თანასწორობა; ხელმისაწვდომობა; ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა; და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უნარების განვითარებისა და საკუთარი ინდივიდუალურობის შენარჩუნების უფლების პატივისცემა.

12. მე-6 მუხლი საერთო ხასიათის დებულებაა და იგი კონვენციის ყველა მუხლს უკავშირდება, რათა სახელმწიფო მხარეებს შეახსენოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების უფლებების გათვალისწინება ყველა იმ ღონისძიებაში, რომელიც კონვენციის იმპლემენტაციას ისახავს მიზნად. კერძოდ, საჭიროა პოზიტიური ზომების მიღება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მრავალგვარი დისკრიმინაციისაგან დაცვისა და მათ მიერ ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სხვების თანასწორად სარგებლობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 6, პუნქტი 1

¹⁹ მაგალითად, იხილეთ: CRPD/C/QAT/CO/1, პუნქტი 13, CRPD/C/EQU/CO/1, paras. 12 and 16.

²⁰ მაგალითად, იხილეთ: CRPD/C/CRI/CO/1, პუნქტი 13, CRPD/C/EQU/CO/1, პუნქტი 16.

²¹ მაგალითად, იხილეთ: CRPD/C/SWE/CO/1, პუნქტი 13, CRPD/C/KOR/CO/1, პუნქტი 13.

²² მაგალითად, იხილეთ: CRPD/C/AZE/CO/1, პუნქტი 16, CRPD/C/ESP/CO/1, para. 21.

²³ მაგალითად, იხილეთ: CRPD/C/DNK/CO/1, პუნქტი 18, CRPD/C/NZL/CO/1, პუნქტი 16.

13. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი აღიარებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები მრავალგვარი დისკრიმინაციის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან, ხოლო მათ მიერ ადამიანის უფლებებითა და ყველა ფუნდამენტური თავისუფლებით თანასწორუფლებიანი სარგებლობის უზრუნველსაყოფად საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება. კონვენცია მრავალგვარ დისკრიმინაციაზე მითითებას აკეთებს მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში, რომელიც სახელმწიფო მხარეებს აკისრებს არა მხოლოდ შესაძლებლობის შეზღუდვაზე დაფუძნებული ყველანაირი დისკრიმინაციის აკრძალვის, არამედ სხვა საფუძვლებით დისკრიმინაციისაგან დაცვის ვალდებულებას.²⁴ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტის პრევენციულ სამართალში მოცემულია მრავალი ნიშნის მიხედვით და ინტერსექციური დისკრიმინაციისაგან დაცვის ღონისძიებები.²⁵

14. კონვენციის თანახმად, შესაძლებლობის შეზღუდვაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია “გულისხმობს ყველანაირ განსხვავებას, გამორიცხვას ან შეზღუდვას, რომლის მიზანი ან შედეგია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან სხვა სფეროებში, ადამიანის ყველა უფლების და ფუნდამენტური თავისუფლების სხვების თანასწორად, ცნობის, რეალიზების ან სარგებლობის ხელის შეშლა ან მათი უარყოფა. შესაძლებლობის შეზღუდვაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია მოიცავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმის ჩათვლით.”²⁶ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის თანახმად კი დისკრიმინაცია ქალთა მიმართ “ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამორიცხვას ან შეზღუდვას სქესის ნიშნით, რომელიც ლახავს ან არარად აქცევს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, მოქალაქეობრივ ან სხვა რაიმე სფეროში მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ქალთა მიერ, - მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარებას, სარგებლობასა და განხორციელებას”²⁷.

15. კონვენციის თანახმად, “გონივრული მისადაგება” გულისხმობს “საჭირო და შესაბამისი ცვლილებების და შესწორებების შეტანას, მოცემული გარემოების

²⁴ CEDAW-ს ზოგადი რეკომენდაცია No. 25, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღკვეთის შესახებ კონვენციის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის შესახებ, დროებითი სპეციალური ღონისძიებები, პუნქტი 12

²⁵ იხ. CRPD/C/MUS/CO/1, CRPD/C/BRA/CO/1, CRPD/C/CZE/CO/1, CRPD/C/DNK/CO/1, CRPD/C/AUS/CO/1, CRPD/C/SWE/CO/1, CRPD/C/DEU/CO/1, და სხვები

²⁶ იხ. მუხლი 2 CRPD

²⁷ იხ. მუხლი 1 CEDAW

საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც არ იქცევიან არაპროპორციულ ან გაუმართლებელ ტვირთად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ სხვებთან თანასწორად ადამიანის ყველა უფლებით და ფუნდამენტური თავისუფლებით სარგებლობის ან მათი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით”, რაც სახელმწიფო მხარეებს აკისრებს ვალდებულებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის უზრუნველყონ თანასწორი და ეფექტური სამართლებრივი დაცვა ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციისაგან.²⁸ CEDAW კომიტეტის მიერ მიღებულ უახლეს გადაწყვეტილებებში მითითებულია გონივრული მისადაგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისთვის დასაქმების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.²⁹ გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ვალდებულება *ex nunc* ვალდებულებაა, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი განხორციელებას ექვემდებარება მოთხოვნისთანავე, მოცემულ სიტუაციაში, კონკრეტულ კონტექსტში პირის მიერ უფლებებით სხვებთან თანასწორობის საფუძველზე სარგებლობისათვის. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისათვის გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ვალდებულების შეუსრულებლობა შესაძლოა ჩაითვალოს დისკრიმინაციად, კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების საფუძველზე³⁰. გონივრული მისადაგების მაგალითია, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალს სამსახურში ესაჭიროება ხელმისაწვდომი ადგილი ბავშვის ძუძუთი კვებისთვის.

16. ინტერსექციური დისკრიმინაცია აღიარებს, რომ პიროვნებები დისკრიმინაციას განიცდიან არა როგორც ერთგვაროვანი ჯგუფის წევრები, არამედ როგორც მრავალი სახის იდენტობის, სტატუსისა და ცხოვრებისეული გარემოებების მქონე პირები. აღნიშნული ნიშნავს პირთა გამძაფრებულად უთანასწორო ცხოვრებისეული რეალობებისა და გამოცდილებების აღიარებას, რაც დისკრიმინაციის მრავალი ნიშნით და ინტერსექციური ფორმების შედეგია და საჭიროებს მიზნობრივ ღონისძიებებს მონაცემთა შეგროვების, კონსულტაციის, პოლიტიკის შემუშავების, დისკრიმინაციის აკრძალვის აღსრულების შესაძლებლობის და დაცვის ეფექტური საშუალებების უზრუნველყოფის კუთხით.

17. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ დისკრიმინაციას შესაძლოა ჰქონდეს დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმა: პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაცია, დისკრიმინაცია ასოცირებით, გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმა, სტრუქტურული და სისტემური დისკრიმინაცია.

²⁸ იხ. მუხლი 5 (2) CRPD.

²⁹ მაგალითად, იხილეთ: CEDAW/C/HUN/CO/7-8, პუნქტი 45.

³⁰ CRPD ზოგადი კომენტარი No. 2 (CRPD/C/GC/2).

დისკრიმინაცია, მისი ფორმის მიუხედავად, არღვევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების უფლებებს.

- a) **პირდაპირი დისკრიმინაციის** დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალს ექცევიან მსგავს მდგომარეობაში მყოფ სხვა პირთან შედარებით უთანასწოროდ, იმ მიზეზის გამო, რომელიც დისკრიმინაციის აკრძალულ საფუძველს უკავშირდება. აღნიშნული აგრეთვე მოიცავს აკრძალულ საფუძველზე განხორციელებულ საზიანო ქმედებებსა თუ უმოქმედობას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ არსებობს კომპარატორი.³¹ პირდაპირი დისკრიმინაციის მაგალითია, როდესაც ინტელექტუალური და ფსიქო-სოციალური შეზღუდვის მქონე ქალთა ჩვენებებს სასამართლო არ ითვალისწინებს მათი ქმედუნარობის გამო, რითაც მათ, როგორც ძალადობის მსხვერპლებს, მართლმსაჯულებასა და დაცვის ეფექტურ საშუალებებზე უარს ეუბნება.
- b) **ირიბი დისკრიმინაციის** დროს კანონმდებლობა, პოლიტიკა თუ პრაქტიკა ერთი შეხედვით ნეიტრალურია, მაგრამ არაპროპორციული უარყოფითი გავლენა³² აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებზე. მაგალითად, ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებელი დანესებულება შესაძლოა, ერთი შეხედვით, ნეიტრალური ჩანდეს, მაგრამ მას არ ჰქონდეს გინეკოლოგიური სკრინინგისათვის განკუთვნილი ხელმისაწვდომი სანოლები.
- c) **დისკრიმინაცია ასოციაციით** გულისხმობს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ასოცირების გამო. ხშირად ასოცირებით დისკრიმინაციის მსხვერპლია ქალი, რომელიც მომვლელის როლშია. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დედის დისკრიმინაცია შესაძლოა მოახდინოს პოტენციურმა დამსაქმებელმა იმის შიშით, რომ შვილის გამო იგი ნაკლებად ჩართული/ხელმისაწვდომი თანამშრომელი იქნება.
- d) გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმა** წარმოადგენს დისკრიმინაციას იმ საჭირო და შესაბამის ცვლილებებსა და შესწორებებზე უარის თქმის შემთხვევაში (თუ ისინი არ აკისრებს არაპროპორციულ ან გაუმართლებელ ტვირთს), რომელთაც მოითხოვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიერ ადამიანის უფლებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით სარგებლობა.³³ მაგალითად, შესაძლოა ჩაითვალოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალს უარი ეთქვა გონივრულ მისადაგებაზე იმ

³¹ იხ. CESCR ზოგადი კომენტარი 20 პუნქტი 10.

³² იხ. CESCR GC 20 პუნქტი 10.

³³ იხ. მუხ. 2 CRPD.

შემთხვევაში, თუ მას არ აქვს მამოგრათვის გაკეთების საშუალება ფიზიკური გარემოს არაადაპტირებულობის გამო.

e) **სტრუქტურული ან სისტემური დისკრიმინაცია** წარმოადგენს დისკრიმინაციული ინსტიტუციონალური ქცევის, დისკრიმინაციული კულტურული ტრადიციების, სოციალური ნორმების და/ან წესების ფარულ ან აშკარა პრაქტიკას. ასეთი დისკრიმინაცია შესაძლოა გამოიწვიოს გენდერისა და შებლუდული შესაძლებლობის გარშემო არსებულმა სტერეოტიპირებმა, რაც განუყრელ კავშირშია კონკრეტულად შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისათვის პოლიტიკის, მარეგულირებელი წესებისა და სერვისის უზრუნველყოფის ნაკლებობასთან. მაგალითად, გენდერისა და შებლუდული შესაძლებლობის ურთიერთკვეთის საფუძველზე არსებული სტერეოტიპების გამო, შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალები შესაძლოა აწყდებოდნენ ბარიერებს ძალადობის შემთხვევის შეტყობინებისას - მაგალითად, უნდობლობა ან რეაგირებაზე უარი პოლიციის, პროკურორების ან სასამართლოების მხრიდან. აღნიშნულის მსგავსად, საზიანო პრაქტიკა მყარად უკავშირდება და განამტკიცებს სოციალურად კონსტრუირებულ გენდერულ როლებსა და ძალთა ურთიერთობებს, რომელიც შესაძლოა ასახავდეს შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალების ნეგატიურ აღქმას ან მათ მიმართ დისკრიმინაციულ წარმოდგენებს - მაგალითად, რწმენას იმისა, რომ აივ/შიდსით დაავადებული მამაკაცების განკურნება შესაძლებელია შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალთან სექსუალური კავშირის დამყარების გზით.³⁴ საჯარო მოსამსახურეების (იქნება ეს მასწავლებელი, ჯანდაცვის პროვაიდერი, პოლიციის თანამშრომელი, პროკურორი თუ მოსამართლე) და ფართო საზოგადოების მხრიდან შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა შესახებ საზიანო სტერეოტიპების თავიდან ასაცილებლად საჭირო ცნობიერების ამაღლების ტრენინგებისა და პოლიტიკის ნაკლებობა ხშირად იწვევს უფლებების დარღვევის ინდივიდუალურ შემთხვევებს.

18. შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალები ექვემდებარებიან მრავალი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციას არა მხოლოდ საჯარო, არამედ კერძო სფეროშიც. მაგალითად, ოჯახურ ურთიერთობებში, თუ კერძო სოციალური სერვისის პროვაიდერების მხრიდან. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობამ დიდი ხანია აღიარა სახელმწიფო მხარის პასუხისმგებლობა

³⁴ A/HRC/20/5, პუნქტი 24

კერძო, არა-სახელმწიფო აქტორების მიერ ჩადენილ დისკრიმინაციაში.³⁵ სახელმწიფო მხარეებმა უნდა მიიღონ ისეთი საკანონმდებლო დებულებები და პროცედურები, რომელიც მკაფიოდ აღიარებს მრავალი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციას და უზრუნველყოფს დისკრიმინაციის ერთზე მეტ საფუძველთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრების განხილვას როგორც პასუხისმგებლობის, ისე სამართლებრივი დაცვის საშუალებების განსაზღვრის კონტექსტში.

მუხლი 6, პუნქტი 2

19. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი შეეხება ქალთა განვითარებას, წინსვლასა და დამოუკიდებლობას. მე-2 პუნქტის თანახმად, ქალებისათვის კონვენციით მინიჭებული უფლებების უზრუნველყოფა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მხარეები ესწრაფვიან აღნიშნული მიზნების მიღწევასა და ხელშეწყობას შესაბამისი საშუალებების გამოყენებით, კონვენციით გათვალისწინებულ ყველა სფეროში.

20. კონვენციის თანახმად, სახელმწიფო მხარეებმა უნდა მიიღონ “ყველა შესაბამისი ზომა”, ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სრულად განხორციელების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს საკანონმდებლო, საგანმანათლებლო, ადმინისტრაციულ, კულტურულ, პოლიტიკურ, ლინგვისტურ და სხვა ღონისძიებებს. ღონისძიებები შესაბამისია, თუ ისინი პატივს სცემენ კონვენციის პრინციპებს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისათვის კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების განხორციელებისა და სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნის მიღწევას. ღონისძიებები შესაძლოა იყოს დროებითი ან გრძელვადიანი, როგორც დე-იურე, ისე დე-ფაქტო უთანასწორობის დასაძლევად. სპეციალური დროებითი ღონისძიებები, როგორცაა კვოტები, გამოიყენება სტრუქტურული და სისტემური მრავალი ნიშნის დისკრიმინაციის დასაძლევად, ხოლო გრძელვადიანი ღონისძიებები, ისეთი, როგორცაა კანონმდებლობისა და პოლიტიკის მიმართულებების რეფორმა ქალთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ცხოვრების ყველა სფეროში, საჭირო წინაპირობაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა არსებითი თანასწორობის მისაღწევად.

³⁵ იხ. CCPR, GC 18 პუნქტი 9, CCPR 28 პუნქტი 31, CESCR GC 20 პუნქტი 11, CEDAW GR 28 პუნქტი 9, CERD GR 25 პუნქტი 1, 2.

21. ყველა ღონისძიება უნდა უზრუნველყოფდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სრულ განვითარებას, წინსვლასა და დამოუკიდებლობას. მიუხედავად იმისა, რომ განვითარება უკავშირდება ეკონომიკურ ზრდასა და სიღარიბის აღმოფხვრას, იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული სფეროებით. განვითარება, რომელიც მგრძობიარეა გენდერისა და შეზღუდული შესაძლებლობის მიმართ, ისეთ სფეროებში, როგორებიცაა განათლება, დასაქმება, შემოსავლის გამომუშავება და ძალადობასთან ბრძოლა, შესაძლოა წარმოადგენდეს შესაფერის ღონისძიებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სრულფასოვანი ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად; თუმცა, საჭიროა დამატებითი ღონისძიებებიც ჯანდაცვის, პოლიტიკური, კულტურული და სპორტული მონაწილეობის მიმართულებებით.

22. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინსვლა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა განვითარების მიზნის ფარგლებს სცდება, რის გამოც ღონისძიებები, ასევე, მიზნად უნდა ისახავდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მდგომარეობის გაუმჯობესებას მათი ცხოვრების მანძილზე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების აღიარება განვითარების ღონისძიებებში საკმარისი არ არის; არამედ, მათ ასევე უნდა შეძლონ საზოგადოებაში მონაწილეობა და წვლილის შეტანა.

23. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა ნიშნავს მათი მონაწილეობის ხელშეწყობას საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები ისტორიულად აწყდებიან არაერთ ბარიერს საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის კუთხით. ძალების დისბალანსისა და მრავალი ნიშნით დისკრიმინაციის გამო მათ ნაკლები შესაძლებლობები აქვთ, შექმნან ან გაერთიანდნენ ორგანიზაციებში, რომლებიც შეძლებენ, წარმოადგინონ მათი, როგორც ქალებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების საჭიროებები. სახელმწიფო მხარეებმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებსა და გოგონებს პირდაპირ უნდა მიაწვდინონ ხმა და გაატარონ ადექვატური ღონისძიებები მათი პერსპექტივების სრულად გასათვალისწინებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებსა და გოგონებზე არ ხორციელდებოდეს რაიმე სახის ზემოქმედება მათ მიერ საკუთარი მოსაზრებებისა და ინტერესების გამოხატვის სამაგიეროდ, განსაკუთრებით სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებთან, გენდერზე დაფუძნებულ ძალადობასთან, მათ შორის სექსუალურ ძალადობასთან

დაკავშირებით. და ბოლოს, სახელმწიფო მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობას, რაც მოიცავს არამხოლოდ ისეთ საკონსულტაციო ორგანოებსა და მექანიზმებში ჩართულობას, რომლებიც მხოლოდ შეზღუდულ შესაძლებლობებს უკავშირდება.³⁶

ნაწილი III: სახელმწიფო მხარეთა ვალდებულებები

24. კონვენციის მონაწილე სახელმწიფო მხარეებს მე-6 მუხლისა და ყველა სხვა არსებითი დებულების თანახმად, ეკისრებათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების უფლებების პატივისცემის, დაცვისა და განხორციელების ვალდებულება, მათთვის ადამიანის ყველა უფლებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით სარგებლობისა და განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული მოვალეობები გულისხმობს სამართლებრივი, პოლიტიკური, ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებების განხორციელებას.

25. პატივისცემის ვალდებულება სახელმწიფო მხარეებისაგან მოითხოვს, თავი შეიკავონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიერ თავიანთი უფლებებით სარგებლობაში ჩარევისგან. როგორც ასეთი, არსებული კანონმდებლობა, მარეგულირებელი წესები, წეს-ჩვეულებები და პრაქტიკა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მიმართ დისკრიმინაციულია, უნდა გაუქმდეს.³⁷ კანონები, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს არ აძლევს დაქორწინების ან ბავშვების რაოდენობისა და ბავშვებს შორის ინტერვალის თავად არჩევის უფლებას, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, აღნიშნული დისკრიმინაციის ხშირი მაგალითებია. ამასთან, პატივისცემის მოვალეობა გულისხმობს მე-6 მუხლთან და სხვა არსებით დებულებებთან შეუსაბამო ქმედებისა თუ პრაქტიკისაგან თავის შეკავებას, რათა ხელისუფლება და საჯარო დანესებულებები იქცეოდნენ ამ დებულებების შესაბამისად³⁸.

26. დაცვის ვალდებულება ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო მხარეებმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებები უნდა დაიცვან მესამე მხარის მიერ დარღვევისგანაც. ამრიგად, სახელმწიფო მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ღონისძიება პიროვნების, ორგანიზაციის ან კერძო

³⁶ შშმ პირთა უფლებების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში გადანყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესახებ A/HRC/31/62.

³⁷ იხ. მუხ. 4 (1) (b) CRPD.

³⁸ იხ. მუხ. 4 (1) (d) CRPD.

დანესებულების მიერ სქესზე და/ან ჯანმრთელობის დარღვევაზე დაფუძნებული დისკრიმინაციის აღკვეთის მიზნით. აღნიშნული აგრეთვე მოიცავს ჯეროვანი გულისხმიერების გამოჩენის ვალდებულებას ძალადობისა თუ ადამიანის უფლებების დარღვევის აღკვეთით, დარღვევების შედეგად დაზარალებული პირებისა და მონმეების დაცვით, გამოძიებით, დამნაშავეების, მათ შორის კერძო აქტორების პასუხისგებაში მიცემითა და დასჯით, და ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში კომპენსაციასა და რეპარაციებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით ³⁹ . მაგალითად, სასამართლო სფეროში მომუშავე პროფესიონალების სათანადო მომზადების ხელშეწყობა ძალადობის მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისათვის სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების უზრუნველსაყოფად.

27. განხორციელების ვალდებულება სახელმწიფო მხარეებს აკისრებს განგრძობად და დინამიურ მოვალეობას, მიიღონ და გამოიყენონ ღონისძიებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების განვითარების, წინსვლისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით. სახელმწიფო მხარეებმა უნდა გამოიყენონ ორმხრივი მიდგომა, რაც გულისხმობს შემდეგს: ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების ინსტერესებისა და უფლებების სისტემატური ინტეგრაცია ქალების, ბავშვების და შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ ეროვნულ სამოქმედო გეგმებში, სტრატეგიებსა ⁴⁰ და პოლიტიკაში და აგრეთვე, სექტორულ გეგმებში, რომელიც შეეხება, მაგალითად, გენდერულ თანასწორობას, ჯანდაცვას, ძალადობას, განათლებას, პოლიტიკურ მონაწილეობას, დასაქმებას, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობასა და სოციალურ დაცვას, და ბ) კონკრეტულად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისათვის გამიზნული ქმედებები და მათზე მონიტორინგის განხორციელება. ორმხრივი მიდგომა აუცილებელი წინაპირობაა მონაწილეობისა და უფლებებით სარგებლობის კუთხით არსებული უთანასწორობის შესამცირებლად.

ნაწილი IV: მე-6 მუხლის ურთიერთკავშირი კონვენციის სხვა მუხლებთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა პერსპექტივები კონვენციის დებულებებში

³⁹ See Joint general recommendation No.31 of CEDAW/ general comment No. 18 CRC on harmful practices, CEDAW/C/GC/31-CRC/C/GC/18 p.4.

⁴⁰ See Art. 4 (1) (c) CRPD.

28. მე-6 მუხლი ზოგადი ხასიათის დებულებაა, რის გამოც იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული კონვენციის სხვა არსებით დებულებებთან. გარდა მუხლებისა, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ სქესზე და/ან გენდერზე⁴¹, შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მე-6 მუხლით გათვალისწინებული უფლებები განსაკუთრებით უკავშირდება შემდეგ დებულებებს:

- a) ძალადობა შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინააღმდეგ (მუხლი 16);
- b) სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები, მათ შორის საცხოვრებლისა და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა (მუხლები 25 და 23);
- c) შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაციის სფეროები, რომლებიც სხვა შესაბამის მუხლებში არის მოცემული.

A: ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფისგან თავისუფლება (მუხლი 16)

29. შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, ქალების ფართო მოსახლეობასთან შედარებით, ძალადობის, ექსპლუატაციისა და შეურაცხყოფის უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან.⁴² ძალადობა ბუნებით შესაძლოა იყოს პიროვნებათაშორისი, ინსტიტუციონალური და/ან სტრუქტურული. ინსტიტუციონალური და/ან სტრუქტურული ძალადობა წარმოადგენს ნებისმიერი ფორმის სტრუქტურულ უთანასწორობას და ინსტიტუციონალურ დისკრიმინაციას, რომელიც ქალს ფსიქოლოგიურად თუ იდეოლოგიურად დაქვემდებარებულ პოზიციაში ამყოფებს, ოჯახის სხვა წევრების⁴³, ახლობლებისა თუ თემის მიმართ.

30. შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ექსპლუატაციისაგან, ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან თავისუფლებაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მავნე სტერეოტიპებმა, რომლებიც ძალადობის განცდის რისკებს ამძაფრებს. მავნე სტერეოტიპები, რომლებიც შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალების ინფანტილიზაციას ახდენენ, ეჭვქვეშ აყენებენ შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიერ გადანყვეტილების მიღების შესაძლებლობას, ისევე, როგორც შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალების აღქმა ასექსუალურ ან ჰიპერსექსუალურ ადამიანებად; ცრურწმენით გაჯერებული

⁴¹Mentioned supra para ##

⁴² See Report of the Special Rapporteur on violence against women, its causes and its consequences 2012, para 13 (A/67/227).

⁴³ CRPD/C/HRV/CO/1, პუნქტი 11

მცდარი რწმენები ან მითები ალბინოსი ქალების მიმართ სექსუალური ძალადობის რისკებს ამძაფრებს⁴⁴, ეს ყოველივე კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიერ კონვენციის მე-16 მუხლით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებას უშლის ხელს.

31. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მიმართ ძალადობრივი ქმედებები, ექსპლუატაცია და/ან შეურაცხყოფა, რაც არღვევს მე-16 მუხლს, მოიცავს, მათ შორის: ძალადობრივ, ფიზიკური ძალის გამოყენების შემთხვევებს, რის შედეგადაც ქალებს შეზღუდული შესაძლებლობა უვითარდებათ; ეკონომიკურ იძულებას; ტრეფიკინგს, მოტყუებას; დეზინფორმირებას; მიტოვებას; თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის არ არსებობასა და სამართლებრივ იძულებას; უყურადღებობას, მათ შორის მედიკამენტების მიწოდებაზე ან ხელმისაწვდომობაზე უარის თქმას; საკომუნიკაციო დამხმარე საშუალებების წართმევას თუ კონტროლს ან საკომუნიკაციო დახმარების განხორციელებაზე უარის თქმას; პერსონალურ მობილურობაზე და ხელმისაწვდომობაზე უარის თქმა - მაგ. ხელმისაწვდომობის საშუალებების (ისეთის, როგორცაა პანდუსი) განადგურება, ან დამხმარე მოწყობილობებზე - მაგ. თეთრი ხელჯობი) ან გადაადგილებისთვის დამხმარე საშუალებებზე (მაგ. სავარძელ-ეტლი) უარის თქმა; უარი მომვლელობაზე, ყოველდღიურ ცხოვრებაში დასახმარებლად - მაგ. დაბანა, მენსტრუალური და/ან სანიტარული მოვლა, ჩაცმა და კვება, რაც დამოუკიდებლად ცხოვრების უფლებასა და დამამცირებელი მოპყრობისაგან თავისუფლებაზე უარის თქმას ნიშნავს; საკვებზე ან წყალზე უარის თქმა, ან აღნიშნულით დამუქრება; ფიზიკური/ფსიქოლოგიური ტერორი, სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაცინვა შეზღუდული შესაძლებლობის გამო, რაც იწვევს დაშინებით გამონეულ შიშს; ზიანის მიყენება ან ზიანის მიყენების მუქარა, შინაური ცხოველების ან დამხმარე ძაღლების წართმევა ან მოკვლა, ან საგნების განადგურება; ფსიქოლოგიური მანიპულაცია; ქცევის კონტროლი, რაც მოიცავს ოჯახთან, მეგობრებთან ან სხვა პირებთან პირისპირ ან ვირტუალური კავშირის შეზღუდვას.

32. ძალადობის გარკვეული ფორმები, ექსპლუატაცია ან შეურაცხყოფა შესაძლოა მიჩნეული იქნას სასტიკ, არაჰუმანურ, დამამცირებელ მოპყრობად ან სასჯელად, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებათა არაერთ საერთაშორისო ხელშეკრულებას. აღნიშნულის მაგალითებია: იძულებითი, ძალდატანებითი ან სხვა მხრივ არანებაყოფლობითი ორსულობა ან სტერილიზაცია;⁴⁵ აგრეთვე, ნებისმიერი სხვა სამედიცინო პროცედურა ან ინტერვენცია, რომელიც განხორციელდა

⁴⁴ ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისის ანგარიში, A/HRC/24/57.

⁴⁵ CRPD/C/MEX/CO/1, პუნქტი 37.

თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე, მათ შორის კონტრაცეფციასა და ორსულობის ნაადრევ შეწყვეტასთან დაკავშირებით; ინვაზიური და შეუქცევადი ქირურგიული პროცედურები, მათ შორის ფსიქოქირურგია, ქალების ქალის სასქესო ორგანოს დასახიჩრება ან ქირურგიული თუ სამკურნალო პროცედურის ჩატარება ინტერსექს ბავშვებზე, მათი ინფორმირებული თანხმობის გარეშე; ელექტროშოკის გამოყენება, ქიმიური, ფიზიკური ან მექანიკური შემზღვრავი საშუალებების გამოყენება; იზოლაცია ან განმარტოვებით ყოფნა.

33. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინააღმდეგ სექსუალური ძალადობა გულისხმობს გაუპატიურებასაც.⁴⁶ სექსუალური ძალადობა შესაძლოა განხორციელდეს ნებისმიერ გარემოში, როგორც სახელმწიფო, ისე არა-სახელმწიფო ინსტიტუტებში, ოჯახში ან თემში⁴⁷. ზოგიერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი, განსაკუთრებით კი სმენის არმქონე და უსინათლო/სმენის არმქონე ქალები⁴⁸, და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ქალები, შესაძლოა უფრო მეტად აღმოჩნდნენ ძალადობისა და შეურაცხყოფის რისკის ქვეშ, მათი იზოლაციის, დამოკიდებულებისა და ჩაგვრის გამო.

34. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები შესაძლოა გახდნენ ეკონომიკური ექსპლუატაციის სამიზნე, ჯანმრთელობის დარღვევების გამო, რაც მათ ძალადობის უფრო მეტი რისკის ქვეშ აყენებს. მაგალითად, შესაძლოა მოხდეს ფიზიკური ან ჯანმრთელობის გამოხატული დარღვევის მქონე ქალების ტრეფიკინგი იძულებითი მათხოვრობის მიზნით, ვინაიდან მიჩნეულია, რომ ისინი საზოგადოებაში უფრო მეტ თანაგრძნობას იწვევენ⁴⁹.

35. ის ფაქტი, რომ ხშირად ბიჭებს გოგონებზე უკეთ ეპყრობიან და მათზე უფრო მეტად ზრუნავენ, ნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონების მიმართ ძალადობა უფრო გავრცელებულია, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბიჭების ან სხვა გოგონების მიმართ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონების წინააღმდეგ ძალადობა მოიცავს გენდერულად სპეციფიურ უგულვებელყოფას, დამცირებას, დამალვას, მიტოვებას, შეურაცხყოფას, მათ შორის სექსუალურ შეურაცხყოფასა და სექსუალურ ექსპლუატაციას, რისი შემთხვევებიც სქესობრივი მონიჭეულობის დროს კიდევ უფრო იმატებს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების რეგისტრაცია დაბადებისას უფრო ხშირად არ

⁴⁶ A/67/227, პუნქტი 35.

⁴⁷ მაგ. იხ. http://www.coe.int/t/e/social_cohesion/soc-sp/Abuse%20_E%20in%20color.pdf

⁴⁸ CRPD/C/BRA/CO/1, პუნქტი 14.

⁴⁹ <http://www2.ohchr.org/english/issues/women/docs/A.HRC.20.5.pdf>, პუნქტი 25

ხდება⁵⁰, რაც მათ ექსპლუატაციისა და ძალადობის რისკის ქვეშ აყენებს. შებლუდული შესაძლებლობის მქონე გოგონები ოჯახის წევრებისა და მომვლელების მხრიდან ძალადობის განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფებიან⁵¹.

36. შებლუდული შესაძლებლობის მქონე გოგონები მავნე პრაქტიკის განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფებიან, რისი გამართლებაც ხდება სოციალურ-კულტურული და რელიგიური წეს-ჩვეულებებითა და ფასეულობებით. მაგალითად, შებლუდული შესაძლებლობის მქონე გოგონები შებლუდული შესაძლებლობის მქონე ბიჭებზე უფრო ხშირად ხდებიან “სიბრალოლით მკვლელობის” მსხვერპლნი, ვინაიდან მათ ოჯახებს არ სურთ ან არ გააჩნიათ შესაძლებლობა, გაზარდონ ჯანმრთელობის დარღვევის მქონე გოგონა⁵². მავნე პრაქტიკის სხვა მაგალითებია: ახალშობილთა მკვლელობა⁵³, “სულით შეპყრობილის” ბრალდებები და კვებასა და ნუტრიციასთან დაკავშირებული შებლუდვები. ამასთან, შებლუდული შესაძლებლობის მქონე გოგონების, განსაკუთრებით კი ინტელექტუალური შებლუდვის მქონე გოგონების გათხოვების გამართლება ხდება სამომავლო უსაფრთხოების, მზრუნველობისა და ფინანსების უზრუნველყოფის არგუმენტით. სანაცვლოდ, ადრეული ქორწინება იწვევს სკოლაში განათლების მიღების შეწყვეტას და ნაადრევ და ხშირ მშობიარობას. შებლუდული შესაძლებლობის მქონე გოგონების სოციალური იზოლაცია, სეგრეგაცია და ექსპლუატაცია ოჯახში გულისხმობს: ოჯახური ცხოვრებიდან გამოორიციხვას, სახლიდან გასვლის აკრძალვას, სახლის საქმეების კეთების იძულებას, ანაზღაურების გარეშე, და სკოლაში სიარულის აკრძალვას.

37. შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინააღმდეგ ხორციელდება იგივე მავნე პრაქტიკა, რასაც შებლუდული შესაძლებლობის არმქონე ქალები ექვემდებარებიან - მაგალითად, იძულებითი ქორწინება, ქალთა გენიტალური მუტილაცია, ე.წ. “სოციალური ღირსების” სახელით ჩადენილი დანაშაულებები, მზითევთან დაკავშირებული ძალადობა, ქვრივობის პრაქტიკა და ჯადოქრობის ბრალდებები.⁵⁴ მავნე პრაქტიკის შედეგები სოციალური გარიყულობის საზღვრებს სცდება და ამყარებს მავნე გენდერულ სტერეოტიპებს, ამკვიდრებს უთანასწორობას და ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ დისკრიმინაციას უწყობს ხელს. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა და

⁵⁰ მაგ. იბ., CRC/C/TGO/CO/3-4, პუნქტი 8.

⁵¹ The State Of The World's Children 2013, UNICEF

⁵² <http://www2.ohchr.org/english/issues/women/docs/A.HRC.20.5.pdf>, პუნქტი 24

⁵³ იქვე

⁵⁴ CEDAW/C/GC/31-CRC/C/GC/18, პუნქტი 7

ეკონომიკური ექსპლუატაცია. კულტურის პატრიარქალურ ინტერპრეტაციაზე დაფუძნებული მავნე პრაქტიკა ვერ გაამართლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობას. ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და ბავშვები “ქალწულობის შემოწმებისა”⁵⁵ და აივ/შიდსზე არასწორ წარმოდგენებთან დაკავშირებული “ქალწულთა გაუპატიურებების” განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფებიან.⁵⁶

B: სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები, მათ შორის საცხოვრებლისა და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა (მუხლები 25 და 23)

38. შეზღუდულ შესაძლებლობასთან და გენდერთან დაკავშირებული მცდარი სტერეოტიპები დისკრიმინაციის ფორმას წარმოადგენს, რაც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობითა და უფლებებით, აგრეთვე, ოჯახის შექმნის უფლებით სარგებლობაზე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების შესახებ მავნე სტერეოტიპების მაგალითებია წარმოდგენები იმის შესახებ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები არიან ასექსუალურები, უუნაროები, ირაციონალურები, ნაკლები კონტროლის მქონე და/ან ჰიპერსექსუალური. სხვა დანარჩენი ქალების მსგავსად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს აქვთ უფლება, თავად აირჩიონ ბავშვების რაოდენობა და ინტერვალის ბავშვებს შორის. მათ აქვთ უფლება, თავად აკონტროლონ საკუთარ სექსუალურობასთან დაკავშირებული საკითხები და მიიღონ შესაბამისი თავისუფალი და პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილებები, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანდაცვასთან დაკავშირებით, იძულების, დისკრიმინაციისა და ძალადობის გარეშე.⁵⁷

39. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები აწყდებიან არაერთ ბარიერს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობითა და უფლებებით სარგებლობასთან, კანონის წინაშე თანასწორ აღიარებასთან და სასამართლოს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, რაც განხილულია ქვემოთ. გენდერისა და შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე მრავალმხრივი დისკრიმინაციის შედეგად წარმოქმნილი ბარიერების გარდა, ზოგიერთი შეზღუდული

⁵⁵ CEDAW/C/GC/31-CRC/C/GC/18, პუნქტი 9

⁵⁶ <http://www2.ohchr.org/english/issues/women/docs/A.HRC.20.5.pdf>, პუნქტი 24.

⁵⁷ მოსახლეობისა და განვითარების სამოქმედო პროგრამისა და პეკინის სამოქმედო პლატფორმის შესახებ სამოქმედო პროგრამა და მათ განსახილველად ჩატარებული კონფერენციის შედეგის დოკუმენტები

შესაძლებლობის მქონე ქალი, მაგალითად, ლტოლვილი, მიგრანტი და თავშესაფრის მაძიებელი ქალები, დამატებით ბარიერებს აწყდებიან, ვინაიდან მათ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე უარს ეუბნებიან. ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები შესაძლოა აწყდებოდნენ მავნე ევგენიკურ სტერეოტიპებს, რომლის თანახმადაც ისინი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს აჩენენ, რის გამოც მათ ურჩევნია, არ მოახდინონ დედობის უფლების რეალიზება ან ხელს უშლიან აღნიშნული უფლების განხორციელებაში.⁵⁸

40. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს შესაძლოა აგრეთვე უარი ეთქვათ ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის სრულფასოვანი სექსუალური განათლების ხელმისაწვდომობაზე, იმ მავნე სტერეოტიპის გამო, რომლის თანახმადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები არიან ასექსუალურები და შესაბამისად, ისინი ამგვარ ინფორმაციას არ საჭიროებენ. ამასთან, ინფორმაცია შესაძლოა არ არსებობდეს ხელმისაწვდომ ფორმატებში. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია მოიცავს, მათ შორის, ინფორმაციას, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, “სექსუალური და რეპროდუქციული ცხოვრების ყველა ასპექტის შესახებ, მათ შორის დედათა ჯანმრთელობა, კონტრაცეპტივები, ოჯახის დაგეგმვა, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისა და იმუნოდეფიციტის ვირუსული ინფექციის (აივ-ინფექციის) პრევენცია, უსაფრთხო აბორტი და აბორტის შემდგომი მზრუნველობა, უნაყოფობა და ნაყოფიერების შესაძლებლობები, და რეპროდუქციული სიმსივნე.”⁵⁹

41. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების, განსაკუთრებით კი ინტელექტუალური შეზღუდვების მქონე, სმენის არ-მქონე და უსინათლო/სმენის არ-მქონე ქალების მიერ სექსუალურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობამ შესაძლოა გაზარდოს სექსუალური ძალადობის რისკი.⁶⁰

42. სამედიცინო დანესებულებები და აპარატურა, მათ შორის მამოგრაფიის აპარატები და გინეკოლოგიური გასინჯვის საწოლები, ხშირად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისათვის არ არის ფიზიკურად ხელმისაწვდომი.⁶¹ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების უსაფრთხო გადაადგილება სამედიცინო დანესებულებამდე ან სკრინინგ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, შესაძლოა არ იყოს ფიზიკურად და ფინანსურად ხელმისაწვდომი.

⁵⁸ A/67/227, პუნქტი 36.

⁵⁹ E/C.12/GC/22, პუნქტი 18.

⁶⁰ მაგალითად, იხილეთ: CRPD/C/MEX/CO/1, პუნქტი 50 b

⁶¹ CRPD/C/GC/2, პუნქტი 40. Also მაგალითად, იხილეთ: CRPD/C/DOM/CO/1, პუნქტი 46.

43. ჯანმრთელობის სფეროს მუშაკთა და სხვა შესაბამის თანამშრომელთა დამოკიდებულებასთან დაკავშირებულმა ბარიერებმა შესაძლოა გამოიწვიოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთათვის ჯანდაცვის სფეროს პრაქტიკოსებსა და/ან სერვისებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, განსაკუთრებით ფსიქოლოგიური ან ინტელექტუალური დარღვევების მქონე, სმენის არ-მქონე, უსინათლო/სმენის არ-მქონე და სპეციალურ დანესებულებებში განთავსებული ქალებისათვის.⁶²

44. პრაქტიკაში ხშირად ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების, განსაკუთრებით კი ფსიქო-სოციალური ან ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ქალების არჩევანის უგულებელყოფა, მათი გადანაცვლებების ჩანაცვლება მესამე მხარის, მათ შორის კანონიერი წარმომადგენლების, სერვის პროვაიდერების, მეურვეებისა და ოჯახის წევრების გადანაცვლებებით, რაც კონვენციის მე-12 მუხლის თანახმად, მათი უფლებების დარღვევას იწვევს.⁶³ ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალს უნდა შეეძლოს საკუთარი ქმედუნარიანობის განხორციელება გადანაცვლებების მიღებით, სურვილის შემთხვევაში - მხარდაჭერით, სამედიცინო და/ან თერაპიული მკურნალობის შესახებ. ასეთი გადანაცვლებების მაგალითებია: ნაცოფიერების შენარჩუნება, რეპროდუქციული ავტონომია, ბავშვების რაოდენობისა და ბავშვებს შორის ინტერვალის თავად არჩევის უფლება, მამობის განაცხადის მიღება და თანხმობა, და ურთიერთობების დამყარების უფლება. ქმედუნარუანობის შეზღუდვამ ან წართმევამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ისეთ იძულებით ინტერვენციებს, როგორებიცაა: სტერილიზაცია, აბორტი, კონტრაცეფცია, ქალთა გენიტალური მუტილაცია, ქირურგიული ჩარევა, ან ინტერსექს ბავშვებზე მკურნალობის ჩატარება მათი ინფორმირებული თანხმობის გარეშე ან იძულებითი განთავსება სპეციალურ დანესებულებაში.⁶⁴

45. იძულებითმა კონტრაცეფციამ და სტერილიზაციამ შესაძლოა გამოიწვიოს სექსუალური ძალადობა ორსულობის შედეგის გარეშე, განსაკუთრებით შეზღუდული ფსიქო-სოციალური ან ინტელექტუალური შესაძლებლობის ქალებში და ფსიქიატრიულ ან სხვა სპეციალურ დანესებულებებში ან პათიმრობაში მყოფ ქალებში. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის კიდევ ერთხელ დადასტურება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების

⁶² A/HRC/20/5, პუნქტი 37.

⁶³ib. World Health Organization: Eliminating forced, coercive and otherwise involuntary sterilization. An interagency statement OHCHR, UN Women, UNAIDS, UNDP, UNFPA, UNICEF and WHO (2014).

⁶⁴ CRPD/C/GC/1, პუნქტი 35

ქმედუნარიანობის აღიარება უნდა მოხდეს სხვებთან თანასწორობის საფუძველზე⁶⁵, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს უფლება აქვთ, შექმნან ოჯახი და ჰქონდეთ შესაბამისი დახმარება თავიანთი შვილების გასაზრდელად.

46. საზიანო გენდერულმა და/ან შეზღუდული შესაძლებლობის გარშემო არსებულმა სტერეოტიპებმა, როგორცაა ქმედუნარობა და ფიზიკური უუნარობა, შესაძლოა გამოიწვიოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დედების სამართლებრივი დისკრიმინაცია. ისინი, როგორც ასეთი, ჭარბად არიან წარმოდგენილნი ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებით მიმდინარე წარმოებებში და არაპროპორციულად კარგავენ საკუთარ ბავშვებთან კონტაქტსა და მათზე მზრუნველობის უფლებას, ხოლო ბავშვებთან დაკავშირებით იწყება შვილად აყვანის წარმოება და/ან ხდება მათი განთავსება სპეციალურ დანესებულებებში. ამასთან, ცოლის ფსიქო-სოციალური შეზღუდვის საფუძველზე შესაძლოა მოხდეს ცოლ-ქმრის განცალკევების ან განქორწინების შესახებ ქმრის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

C: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების დისკრიმინაციის სფეროები კონვენციის სხვა შესაბამის მუხლებში

ცნობიერების ამაღლება (მუხლი 8)

47. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები ხშირად აწყდებიან შერეულ სტერეოტიპებს, რაც განსაკუთრებით საზიანოა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების შესახებ შეზღუდული შესაძლებლობისა და გენდერული სტერეოტიპების მაგალითებია წარმოდგენები, რომლის თანახმადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები არიან სხვებისთვის ტვირთი (რომ საჭიროა მათზე ზრუნვა, ქმნიან სირთულეებს, წარმოშობენ სერიოზულ პრობლემებს, პასუხისმგებლობას, საჭიროებენ დაცვას), არიან მონყვლადები (დაუცველი, საშიში, სხვებზე დამოკიდებული, სხვების იმედად მყოფი) და/ან დაზარალებულები (განიცდის ტანჯვას, არის პასიური, უმწეო), სხვაზე ნაკლები (უუნარო, არაადექვატური, სუსტი, უვარგისი); სექსუალური ანომალიის მქონე (მაგ., შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები ხასიათდებიან, როგორც ასექსუალური, არააქტიური, ზედმეტად აქტიური, ქმედუნარო, სექსუალურად უმწეო), მისტიური ან ავი (დანყველილი, სულებით შეპყრობილი, ჯადოქრობის მიმდევარი, იღბლის ან უიღბლობის მომტანი, მავნე). გენდერის და/ან შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ სტერეოტიპების ჩამოყალიბება წარმოადგენს კონკრეტულ პიროვნებაზე სტერეოტიპული აზრის

⁶⁵იხ. მუხ. 12 CRPD და CRPD ზოგადი კომენტარი No 1, პუნქტი 31; მუხ. 15 CEDAW.

მინერას, რაც არასწორია იმ შემთხვევაში, თუ ის ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დარღვევას იწვევს. აღნიშნულის მაგალითია სასამართლო სისტემის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალზე სექსუალური ძალადობის განმხორციელებლის პასუხისგებაში მიცემის ვალდებულების შეუსრულებლობა იმ სტერეოტიპული მოსაზრებების გამო, რომელიც შეეხება აღნიშნული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალის სექსუალურობას ან მისი, როგორც მონმის საიმედოობას.

ხელმისაწვდომობა (მუხლი 9)

48. გენდერული და/ან შეზღუდული შესაძლებლობის ასპექტების გაუთვალისწინებლობა პოლიტიკის იმ მიმართულებებში - რომლებიც უკავშირდება ფიზიკურ გარემოს, ტრანსპორტს, ინფორმაციასა და კომუნიკაციას, მათ შორის ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიებსა და სისტემებს, - და სხვა ობიექტებსა და სერვისებში, რომელიც ხელმისაწვდომია და უზრუნველყოფილია საზოგადოებისათვის, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს დამოუკიდებლად ცხოვრებისა და სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, ცხოვრების ყველა სფეროში სრულფასოვნად მონაწილეობის შესაძლებლობას ართმევს. ეს განსაკუთრებით შეეხება თავშესაფრებზე, მხარდაჭერის სერვისებსა და პროცედურებზე ხელმისაწვდომობას ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა და ექსპლუატაციისაგან ეფექტური და რეალური დაცვის მიზნით ან ჯანდაცვის (განსაკუთრებით, რეპროდუქციული ჯანდაცვის) უზრუნველყოფას.⁶⁶

სარისკო და საგანგებო ჰუმანიტარული სიტუაციები (მუხლი 11)

49. შეიარაღებული კონფლიქტის, ტერიტორიების ოკუპაციის, ბუნებრივი კატასტროფისა და ჰუმანიტარული კრიზისების დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები სექსუალური ძალადობის მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან და მათ ნაკლებად აქვთ გამოჯანმრთელებისა და რეაბილიტაციის სერვისებზე და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა.⁶⁷ ქალი ლტოლვილები, მიგრანტები და თავშესაფრის მაძიებლები, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ, ასევე, შესაძლოა აწყდებოდნენ ძალადობის მაღალ რისკს, ვინაიდან მათ

⁶⁶ იხ. GC № 2 (2014) Accessibility

⁶⁷ შპმ პირთა უფლებების კომიტეტი, კომიტეტის განცხადება მსოფლიო ჰუმანიტარულ სამიტზე შეზღუდული შესაძლებლობის ინკლუზიის შესახებ. განცხადება მიღებულია კომიტეტის მე-14 სესიაზე, რომელიც 2015 წლის 17 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე პერიოდში ქ.ჟენევაში იმართებოდა.

მოქალაქეობრივი სტატუსის გამო ჯანმრთელობისა და მართლმსაჯულების სისტემებზე ხელმისაწვდომობა არ გააჩნიათ.

50. ინსტიტუციებში განთავსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები სარისკო და საგანგებო ჰუმანიტარული მდგომარეობის დროს სექსუალური ძალადობის მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა. ამასთან, სანიტარული ობიექტების ნაკლებობა ზრდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაციას. ისინი აწყდებიან არაერთ დაბრკოლებას ჰუმანიტარული დახმარების ხელმისაწვდომობის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ჰუმანიტარული დახმარების დარიგების დროს ქალები და ბავშვები პრიორიტეტს წარმოადგენენ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები ხშირად ვერ იღებენ ინფორმაციას ჰუმანიტარული პროექტების შესახებ, ვინაიდან აღნიშნული ინფორმაცია ხშირად არ მოიპოვება ხელმისაწვდომ ფორმატში. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები იღებენ ინფორმაციას, მათთვის დისტრიბუციის ადგილი შესაძლოა ფიზიკურად ხელმისაწვდომი არ იყოს, ხოლო ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებმა შესაძლოა ვერ შეძლონ პერსონალთან კომუნიკაცია. ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებზე ძალადობის განხორციელების, მათი ექსპლუატაციის ან შეურაცხყოფის შემთხვევებში, დაზარალებულს ხშირად ხელი არ მიუწვდება ინფორმაციასა და დახმარების საკომუნიკაციო არხებსა და ცხელ ხაზზე. ლტოლვილთა ბანაკებში ხშირად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის განკუთვნილი ბავშვთა დაცვის მექანიზმების ნაკლებობაა. ამასთან, ხშირად მენსტრუაციის დროს ჰიგიენური მოვლისათვის საჭირო ხელმისაწვდომი სანიტარული ობიექტები არ არსებობს, რაც ზრდის ძალადობის რისკებს. მარტოხელა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები აწყდებიან ბარიერებს ხელმისაწვდომ ევაკუაციასთან დაკავშირებით, გადაუდებელი სიტუაციის ან კატასტროფის დროს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ ევაკუაციის დროს შვილებთან ერთად იმყოფებიან. აღნიშნული არაპროპორციულ გავლენას ახდენს იძულებით ადგილნაცვალ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებზე, რომელთაც ოჯახის ზრდასრული წევრი, მეგობარი ან მზრუნველი არ ჰყავთ. იძულებით ადგილნაცვალ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონები დამატებით ბარიერებს აწყდებიან ფორმალური ან არა-ფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის მხრივ, განსაკუთრებით კრიზისულ ვითარებებში.

თანასწორი აღიარება კანონის წინაშე (მუხლი 12)

51. შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს, უფრო ხშირად, ვიდრე შებლუდული შესაძლებლობის მქონე მამაკაცებსა და სხვა ქალებს წართმეული აქვთ ქმედუნარიანობის უფლება. რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე კონტროლის შენარჩუნების უფლება, მათ შორის თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე⁶⁸ ოჯახის შექმნის უფლება, იმის გადანყვეტა, თუ სად და ვისთან ერთად იცხოვროს, ფიზიკური და გონებრივი ხელშეუხებლობის უფლება, საკუთრების ფლობისა და მემკვიდრეობით მიღების უფლება, საკუთარი ფინანსური საქმიანობის განკარგვისა და საბანკო სესხებზე, იპოთეკურ სესხებზე და სხვა ფორმის ფინანსურ კრედიტებზე ხელმისაწვდომობის უფლება⁶⁹ ხშირად დარღვეულია ჩანაცვლებითი გადანყვეტილების მიღების პატრიარქალური სისტემების საშუალებით.

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა (მუხლი 13)

52. შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალები აწყდებიან ბარიერებს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით, მათ შორის ექსპლუატაციასთან, ძალადობასა და შეურაცხყოფასთან დაკავშირებით, მავნე სტერეოტიპების, დისკრიმინაციისა და პროცედურული და გონივრული მისადაგების ნაკლებობის გამო, რის გამოც შესაძლოა მოხდეს მათ სანდოობაში ეჭვის შეტანა და მათი საჩივრების უარყოფა.⁷⁰ პროცედურები ან აღსრულების მიმართ დამოკიდებულება ხშირად აფრთხობს დაზარალებულებს და მათ მართლმსაჯულების ძიებას გადაათქმევენებს. აღნიშნულის მაგალითებია: საჩივრის შეტანის რთული ან დამამცირებელი პროცედურები; დაზარალებულთა გადამისამართება სოციალურ სამსახურში, ნაცვლად სამართლებრივი დაცვის საშუალებების უზრუნველყოფისა; პოლიციისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან უყურადღებო დამოკიდებულება. ამან შესაძლოა გამოიწვიოს დაუსჯელობა და პრობლემის უხილავობა, რის შედეგადაც ძალადობა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გრძელდება.⁷¹ შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალების შიში, განაცხადონ მომხდარი ძალადობის, ექსპლუატაციისა თუ შეურაცხყოფის შესახებ შესაძლოა, აგრეთვე განპირობებული იყოს იმის შიშით, რომ ისინი დაკარგავენ საჭირო მხარდაჭერას მზრუნველებისაგან.⁷²

⁶⁸ იხ. CRPD ზოგადი კომენტარი No.1 (მუხ. 12)

⁶⁹ ST/ESA/326, p.52 UN 2009 World Survey on the Role of Women in Development

⁷⁰ A/HRC/20/5, პუნქტი 41, A/67/227, პუნქტი 42.

⁷¹ A/HRC/20/5, პუნქტი 19.

⁷² იქვე, პუნქტი 16.

პიროვნების თავისუფლება და უსაფრთხოება და წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელისგან თავისუფლება (მუხლები 14 და 15)

53. თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული დარღვევები არაპროპორციულ გავლენას ახდენს ინტელექტუალური თუ ფსიქო-სოციალური შეზღუდვის მქონე ქალებზე, მათ შორის მათზე, ვინც სპეციალურ დანესებულებებში არიან განთავსებულნი. ჯანმრთელობის რეალური ან აღქმული დარღვევის გამო ისეთ დანესებულებაში თავისუფლებააღკვეთილი პირები, როგორცაა ფსიქიატრიული დანესებულება, უფრო მეტად ექვემდებარებიან ძალადობასა და სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობასა თუ დასჯას⁷³, არიან იზოლირებულები და ემუქრებათ სექსუალური ძალადობისა და ტრეფიკინგის საფრთხე მზრუნველობისა და სპეციალური განათლების დანესებულებებში.⁷⁴ სპეციალურ დანესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინააღმდეგ ძალადობის მაგალითებია: იძულებითი გახდა მამაკაცი პერსონალის მიერ ქალის სურვილის წინააღმდეგ; ფსიქიატრიული მედიკამენტების მიღების იძულება; მედიკამენტებით გადაჭარბებული მკურნალობა, რის გამოც შესაძლოა პაციენტმა ვერ გაიხსენოს და/ან აღწეროს მომხდარი სექსუალური ძალადობა. მოძალადეები ხშირად დაუსჯელობის გრძნობით მოქმედებენ, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ დანაშაულის გამოვლენისა თუ დასჯის რისკი დაბალია, რამეთუ სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე ხელმისაწვდომობა მკაცრად არის შეზღუდული. ასევე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებმა, რომლებიც ასეთ ძალადობას დაექვემდებარნენ, მომხდარის შესახებ ვინმეს შეატყობინონ ცხელი ხაზის ან მხარდაჭერის სხვა ფორმების გამოყენებით.

წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელისგან თავისუფლება და პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვა (მუხლები 15 და 17)

54. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები ზოგადად ქალებთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მამაკაცებთან შედარებით, იძულებით ინტერვენციებს უფრო მეტად ექვემდებარებიან, რისი “უკანონოდ გამართლებაც ხდება უუნარობისა და თერაპევტული აუცილებლობის თეორიებით (ხოლო) ლეგიტიმაცია ეროვნულ კანონმდებლობებზე დაყრდნობით და (აღნიშნული)

⁷³ A/HRC/20/5, პუნქტი 39

⁷⁴ CRPD/C/UKR/CO/1, პუნქტი 11

შესაძლოა სარგებლობდეს ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერით, როგორც პიროვნების “საუკეთესო ინტერესში” შემავალი”.⁷⁵ იძულებითი ინტერვენციები კონვენციის არაერთ მუხლს არღვევს, კერძოდ: კანონის წინაშე თანასწორად აღიარების უფლება; ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან თავისუფლება; ოჯახის შექმნის უფლება; პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვა; სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები; წამების ან სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელისაგან თავისუფლება.⁷⁶

დამოუკიდებლად ცხოვრება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა (მუხლი 19)

55. შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებაზე, თავად აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი, შესაძლოა უარყოფით გავლენას ახდენდეს კულტურული ნორმები და პატრიარქალური ოჯახის ფასეულობები, რომელიც ზღუდავს ავტონომიას და შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს გარკვეულ საცხოვრებელ პირობებს უქვემდებარებს. ამრიგად, მრავალგვარმა დისკრიმინაციამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრების უფლებით სრულფასოვან და თანასწორ სარგებლობას. ხანდაზმული შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირების შემთხვევაში, ასაკმა და ჯანმრთელობის დარღვევამ, ცალ-ცალკე ან ერთად აღებული, შესაძლოა გაზარდოს მათი სპეციალურ დანებსებულებებში განთავსების რისკი.⁷⁷ ამასთან, ვრცლად დოკუმენტირებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ინსტიტუციონალიზაციამ შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირები შესაძლოა ძალადობისა და შეურაცხყოფის საფრთხეს დაუქვემდებაროს, განსაკუთრებით კი შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალები.⁷⁸

განათლება (მუხლი 24)

⁷⁵ გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების შესახებ A/HRC/22/53, პუნქტი 64.

⁷⁶ CRPD/C/SWE/CO/1, პუნქტი 37

⁷⁷ იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ანგარიში, ხანდაზმულთა ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ (E/2012/51), რომელიც წარედგინა ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს.

⁷⁸ თემატური კვლევა შშმ პირთა უფლების შესახებ, იცხოვრონ დამოუკიდებლად და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებაში. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ანგარიში, პუნქტი 24

56. გენდერისა და შებენიანი შესაძლებლობის მანეჯმენტი სტრატეგიები ერთობლივად დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას, პოლიტიკასა და პრაქტიკას უწყობს ხელს. ისეთს, როგორებიცაა: გოგონებთან შედარებით ბიჭების განათლებისათვის უფრო მეტი ღირებულების მინიჭება; საგანმანათლებლო მასალებით არასწორი გენდერული და შებენიანი შესაძლებლობის სტრატეგიების დამკვიდრება; შებენიანი შესაძლებლობის მქონე გოგონების ადრეული ქორწინება, გენდერზე დამყარებული ოჯახური საქმიანობა; ქალის, როგორც მზრუნველის როლი; სკოლებში ხელმისაწვდომი სანიტარული ობიექტების ნაკლებობა მენსტრუაციის დროს ჰიგიენის დაცვის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული, თავის მხრივ, იწვევს წერა-კითხვის უცოდინრობის მაღალ დონეს, სკოლაში წარუმატებლობას, ყოველდღიური დასწრების არათანაბარ მაჩვენებელს, სკოლის გაცდენას და სკოლაში სიარულისთვის ბოლომდე თავის დანებებას.

ჯანმრთელობა და რეაბილიტაცია (მუხლები 25 და 26)

57. შებენიანი შესაძლებლობის მქონე ქალები აწყდებიან ბარიერებს ჯანმრთელობისა და რეაბილიტაციის სერვისებთან დაკავშირებით. ამ ბარიერების მაგალითებია: განათლებისა და ინფორმაციის ნაკლებობა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ; გინეკოლოგიური, სამეანო და ონკოლოგიური სერვისების მიღების ფიზიკური ბარიერები; დამოკიდებულებითი ბარიერები ნაყოფიერებისა და ჰორმონალური მკურნალობის მიმართ. ამასთან, ფიზიკური და ფსიქოლოგიური სარეაბილიტაციო სერვისების მიწოდება, მათ შორის ფსიქოლოგიური კონსულტაცია გენდერზე დაფუძნებულ ძალადობასთან დაკავშირებით, შესაძლოა არ იყოს ხელმისაწვდომი, ინკლუზიური და ასაკობრივად, თუ გენდერულად მგრძობიარე.

დასაქმება (მუხლი 27)

58. გარდა ზოგადი ბარიერებისა, რომელიც აბრკოლებს შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირების მიერ მუშაობის უფლების განხორციელებას, შებენიანი შესაძლებლობის მქონე ქალები აგრეთვე აწყდებიან განსაკუთრებულ ბარიერებს სამუშაო ადგილზე თანაბარ მონაწილეობასთან დაკავშირებით, მათ შორის სექსუალურ ძალადობასა და არათანაბარ ანაზღაურებას, კომპენსაციის ძიების საშუალებებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობას, ვინაიდან დისკრიმინაციული დამოკიდებულების გამო მათ საჩივრის დაკმაყოფილებაზე

უარის ეუბნებიან, და აგრეთვე, ფიზიკური, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ბარიერები.⁷⁹

სოციალური დაცვა (მუხლი 28)

59. ქალები მსოფლიოს ღარიბ მოსახლეობაში არაპროპორციულად არიან წარმოდგენილები, რაც მათთვის არჩევანისა და შესაძლებლობების ნაკლებობას იწვევს, განსაკუთრებით ფორმალური დასაქმებიდან შემოსავლის მიღების თვალსაზრისით. სიღარიბე წარმოადგენს მრავალგვარი დისკრიმინაციის შედეგსა და კომბინირებულ ფაქტორს. ხანდაზმული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები განსაკუთრებით აწყდებიან არაერთ სირთულეს ადექვატურ საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობის კუთხით. უფრო მაღალია მათი სპეციალურ დაწესებულებებში განთავსების ალბათობა და მათ არ გააჩნიათ სოციალურ დაცვასა და სიღარიბის შემცირების პროგრამებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა.⁸⁰

პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა (მუხლი 29)

60. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების ხმა ისტორიულად ჩახშობილია, რის გამოც ისინი არაპროპორციულად და ნაკლებად არიან წარმოდგენილნი საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ძალთა დისბალანსისა და დისკრიმინაციის მრავალგვარი ფორმების გამო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებსა და გოგონებს ნაკლები შესაძლებლობა აქვთ შექმნან ან განევიანდნენ ორგანიზაციებში, რომლებიც დაიცავს მათი, როგორც ქალების, ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ინტერესებს.

ნაწილი V: განხორციელება ეროვნულ დონეზე

61. სახელმწიფო მხარეთა ანგარიშების განხილვის საფუძველზე კომიტეტმა დაადგინა, რომ სახელმწიფო მხარეები აწყდებიან არაერთ მუდმივ გამოწვევებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისათვის უფლებებით სრულად, დისკრიმინაციის გარეშე და სხვების თანასწორად სარგებლობის უზრუნველსაყოფად, კონვენციის მე-6 მუხლისა და სხვა შესაბამისი მუხლების შესაბამისად.

⁷⁹ A/HRC/20/5, პუნქტი 40 and A/67/227, პუნქტი 67.

⁸⁰ შპმ პირთა უფლებების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში A/70/297,

62. ზემოაღნიშნული ნორმებისა და მოვალეობების გათვალისწინებით, სახელმწიფო მხარეებმა უნდა გადადგან შემდეგი ნაბიჯები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-6 მუხლის სრულად განხორციელებისათვის და ამ კუთხით საკმარისი რესურსების უზრუნველსაყოფად:

a) მრავალი ნიშნით დისკრიმინაციასთან ბრძოლა, *inter alia*, შემდეგი გზებით:

- i. დისკრიმინაციული კანონების, პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუქმება, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობაში უშლის ხელს; გენდერზე და შეზღუდულ შესაძლებლობაზე დაფუძნებული დისკრიმინაციისა და მისი ინტერსექციური ფორმების აკრძალვა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ სექსუალური ძალადობის კრიმინალიზაცია; იძულებითი სტერილიზაციის, იძულებითი აბორტისა და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების პირის თანხმობის გარეშე გამოყენების ყველა ფორმის აკრძალვა; გენდერთან და/ან შესაძლებლობის შეზღუდვასთან დაკავშირებული იძულებითი მკურნალობის ყველა ფორმის აკრძალვა და შესაბამისი საკანონმდებლო ნაბიჯების გადადგმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების დისკრიმინაციისაგან დასაცავად.
- ii. შესაბამისი კანონების, პოლიტიკისა და ქმედებების მიღება იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები გათვალისწინებული იქნან ყველა სახის პოლიტიკაში, განსაკუთრებით ზოგადად, ქალებთან დაკავშირებულ პოლიტიკასა და ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ პოლიტიკაში.
- iii. ყველა იმ ბარიერის დაძლევა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მონაწილეობას აფერხებს და ზღუდავს, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების მოსაზრებების და პოზიციების ასახვა ყველა იმ პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებაში და მონიტორინგში, რომელსაც გავლენა აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების ცხოვრებაზე, მათი ინტერესების დამცველი ორგანიზაციების მეშვეობით. შეზღუდული

- შესაძლებლობის მქონე ქალების ჩართვა ეროვნული მონიტორინგის სისტემის ყველა ორგანოსა თუ განყოფილებაში.
- iv. შებენიერი შესაძლებლობის მქონე ქალთა მდგომარეობის შესახებ მონაცემთა შეგროვება და ანალიზი მათთვის შესაბამის ყველა სფეროში, შებენიერი შესაძლებლობის მქონე ქალთა ორგანიზაციებთან კონსულტაციის საფუძველზე, მე-6 მუხლის განხორციელებისათვის საჭირო პოლიტიკის დაგეგმვის მიზნით და ყველა სახის დისკრიმინაციის, განსაკუთრებით მრავალი ნიშნით და ინტერსექციური დისკრიმინაციის აღკვეთა და მონაცემთა შეგროვების სისტემების გაუმჯობესება ადექვატური მონიტორინგისა და შეფასებისათვის.
- v. ყველა სახის საერთაშორისო თანამშრომლობის შებენიერი შესაძლებლობისა და გენდერის მიმართ მგრძობიერებისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფა და 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგისა (Agenda 2030) და მდგრადი განვითარების მიზნების, ამოცანებისა და ინდიკატორების, ასევე, სხვა საერთაშორისო ჩარჩოების განხორციელებაში შებენიერი შესაძლებლობის მქონე ქალების შესახებ მონაცემებისა და სტატისტიკის გათვალისწინება.
- b) შებენიერი შესაძლებლობის მქონე ქალების განვითარების, წინსვლისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად ყველა საჭირო ზომის მიღება, *inter alia*, შემდეგი საშუალებებით:
- i. იმ ნებისმიერი კანონისა თუ პოლიტიკის გაუქმება, რომელიც შებენიერი შესაძლებლობის მქონე ქალებს უზღუდავს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვების თანასწორ საფუძველზე ეფექტური და სრულფასოვანი მონაწილეობის უფლებას, მათ შორის ორგანიზაციების და ზოგადად, ქალებისა და შებენიერი შესაძლებლობის მქონე ქალების ქსელების შექმნისა და მათში განევრიანების უფლებას.
- ii. შებენიერი შესაძლებლობის მქონე ქალების განვითარების, წინსვლისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის პოზიტიური სამოქმედო ღონისძიებების მიღება, შებენიერი შესაძლებლობის მქონე ქალთა ორგანიზაციებთან კონსულტაციის საფუძველზე, რისი მიზანაც იქნება უთანასწორობების დაუყოვნებლივ აღმოფხვრა და შებენიერი შესაძლებლობის მქონე ქალებისათვის სხვების

თანასწორი შესაძლებლობების შექმნა. ასეთი ღონისძიებების გატარება უნდა მოხდეს განსაკუთრებით მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის, ძალადობის აღკვეთის, საცხოვრებელი ადგილისა და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის, სექსუალური ჯანმრთელობისა და რეპროდუქციული უფლებების, ჯანმრთელობის, განათლების, დასაქმებისა და სოციალური დაცვის კუთხით. სახელმწიფო მხარეებმა უნდა უზრუნველყონ იმ საზოგადოებრივი და კერძო სერვისებისა და ობიექტების სრული ხელმისაწვდომობა, მე-9 მუხლისა და მე-9 მუხლის შესახებ ზოგადი კომენტარის შესაბამისად, რომლითაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები სარგებლობენ; საჯარო და კერძო სერვისების პროვაიდერთა მომზადება და განათლება ადამიანის უფლებების შესაბამისი სტანდარტების და დისკრიმინაციული ნორმებისა და ღირებულებების იდენტიფიცირებისა და მათთან ბრძოლის კუთხით, რათა მათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისათვის უზრუნველყონ შესაბამისი ყურადღება, მხარდაჭერა და დახმარება; ეფექტური ღონისძიებების მიღება იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს ხელი მიუწვდებოდეთ მათი ქმედუნარიანობის განხორციელებისათვის საჭირო დახმარებაზე, მე-12 მუხლის შესახებ ზოგადი კომენტარის შესაბამისად, თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის მისაცემად და საკუთარი ცხოვრების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად.

iii. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების ორგანიზაციებისა და ქსელების შექმნის მხარდაჭერა და ხელშეწყობა, და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების ხელშეწყობა და მხარდაჭერა, რათა მათ საჯარო გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში, ყველა დონეზე, ხელმძღვანელის როლის შესრულება შეძლონ.

iv. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მდგომარეობის შესახებ, განსაკუთრებით კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა განვითარების, წინსვლისა და დამოუკიდებლობის შემაფერხებელი გარემოებების შესახებ კვლევის ხელშეწყობა, მათთვის შესაბამის ყველა სფეროში; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების გათვალისწინება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისა და ზოგადად, ქალთა შესახებ მონაცემთა შეგროვებაში; და შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე ქალთა განვითარების, წინსვლისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის პოლიტიკის სათანადო მიზნებზე ფოკუსირება. აღნიშნული უნდა განხორციელდეს მონაცემთა შეგროვების სისტემის შემუშავებაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში, და შესაბამის ტრენინგში, ასევე, საკონსულტაციო მექანიზმების შექმნაში შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და მათი ინტერესების დამცველი ორგანიზაციების მონაწილეობით, რაც უზრუნველყოფს სისტემების შექმნის პროცესის უკეთ ინფორმირებას შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალების განსხვავებული ცხოვრებისეული გამოცდილებების ეფექტური იდენტიფიკაციისა და გამოვლენის მიზნით, გაუმჯობესებული საზოგადოებრივი პოლიტიკისა და პრაქტიკის უზრუნველსაყოფად.

v. საერთაშორისო თანამშრომლობისა და დახმარების ხელშეწყობა და მხარდაჭერა იმ სამართლებრივი, პროცედურული, პრაქტიკული ან სოციალური ბარიერების ადგილობრივ დონეზე აღმოფხვრისკენ მიმართული ძალისხმევის შესაბამისად, რომელიც აბრკოლებს შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სრულფასოვან განვითარებას, წინსვლასა და დამოუკიდებლობას ადგილობრივ თემებსა და ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე; ასევე, შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალების ჩართვა იმ საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებისა და პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებაში და მონიტორინგში, რომელიც მათ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას.

1. გაეროს გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე შესაბამისი ორგანოების რეკომენდაციები ყველა სახელმწიფო მხარემ უნდა გაითვალისწინოს და გამოიყენოს შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და ბავშვების მიმართ.⁸¹

81 Commission on the Status of Women (2016) Women's empowerment and the links to sustainable development E /CN.6/2016/3; Handbook on costing gender equality - ხელმისაწვდომია: <http://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2015/7/handbook-on-costing-gender-equality>; Guidebook on CEDAW general recommendation no. 30 and the UN Security Council resolutions on women, peace and security - ხელმისაწვდომია: <http://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2015/8/guidebook-cedawgeneralrecommendation30-womenpeacesecurity>; Guidance Note on Gender mainstreaming In development programming - ხელმისაწვდომია: <http://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2015/02/gender-mainstreaming-issues>; Guide for the Evaluation of Programmes and Projects with a Gender, Human Rights and Interculturality Perspective - ხელმისაწვდომია: <http://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2014/7/guide-for-the->

—

evaluation-of-programmes-and-projects-with-a-gender-perspective; Monitoring Gender Equality and the Empowerment of Women and Girls in the 2030 Agenda for Sustainable Development: Opportunities and Challenges - ხელმისაწვდომია: <http://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2015/9/indicators-position-paper>; Guidebook on CEDAW general recommendation no. 30 and the UN Security Council resolutions on women, peace and security - ხელმისაწვდომია: <http://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2015/8/guidebook-cedawgeneralrecommendation30-womenpeacesecurity>; Guidance Note on Gender mainstreaming In development programming - ხელმისაწვდომია: <http://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2015/02/gender-mainstreaming-issues>; Guide for the Evaluation of Programmes and Projects with a Gender, Human Rights and Interculturality Perspective - ხელმისაწვდომია: <http://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2014/7/guide-for-the-evaluation-of-programmes-and-projects-with-a-gender-perspective>; Monitoring Gender Equality and the Empowerment of Women and Girls in the 2030 Agenda for Sustainable Development: Opportunities and Challenges - ხელმისაწვდომია: <http://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2015/9/indicators-position-paper>

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა
სამართლებრივი ადვოკატირების პროექტი

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის
კედლას ქ. 7, 0154, თბილისი, საქართველო
(+995 32) 2 35 66 09
info@disability.ge
www.disability.ge